საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციური პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 25,000 მ. სამგლოვიარო განცხადება 30,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 1000 მან.

პარასკევი, დეკემბრის 16 1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიდა ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი

„ხომალდი“

შინაარსი:

ს. აბაშელი—შორეული ნაპირი,
ხარიტონ ვარდოშვილი—სამდურავი შუაღამეს.
იასამანი—ზღვაზე.
ობოლი მუშა—მე—რკალებში.
ვარ. რუხაძე—სულს.
ვ. ტუქსიშვილი—ძველი აღთქმა.
გ. ქუჩიშვილი—ჟამსა ავადმყოფობისას.
ლეო ქიაჩელი—შეურაცყოფა,
დემნა შენგელაია—მია.
ალერტი—ჩვენი მწერლობის შორი-ახლო.
შარლემანი—ყდა.
ხომალდელი—ბიბლიოგრაფია.

ჟურნალი ღირს ათასი თუმანი.
საწყობი: ალ. არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

## საბჭოთა არჩევნებისათვის

შექმნილ და დამტკიცებულია ცენტრალური საარჩევნო კომისია. სულ მალე საქართველოს დაბა-ქალაქებში დაიწყება საბჭოთა არჩევნები. ტფილისის მუშებმა და მოსამსახურეებმა ანგარიში არ გაუწიეს ცრუპენტელა სოციალისტების მოწოდებას ბოიკოტისაკენ და დიდი ერთსულოვნებით, დიდი ენტუზიაზმით უხარი დაუჭირეს საბჭოთა სისტემას. სხვა ნაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. აბა როგორი უნდა იყოს ის მუშა, რომელიც თავის კლასის ბატონობის წინააღმდეგ წავა? სწორედ აქეთ, თავის კლასის ბატონობის, ესე იგი მშრომელთა ძალაუფლების წინააღმდეგ მოუწოდებდნენ მუშებს ჩვენი ბოიკოტისტები, მენშევიკები და მათი კუდი მემარჯვენე სოც.-ფედერალისტები მათი ბოიკოტი არ გატარდა, მათი არავინ დაიჯერა და პროცენტულად არასდროს ამდენ რიცხვს არ მიუღია მონაწილეობა არჩევნებში. ამით გამოაშკარავდა, რომ მენშევიკურ ელემენტებს ამ მოკლე დროში სრულიად დაჰკარგვია გასავალი მასებში, რომ მათ ზღაპრებს და ჭორებს აღარავინ უჯერა, რომ მშრომელი ხალხი განიკურნა მენშევიზმისაგან.

ყველაზედ უფრო სასაცილო და თან სამწუხარო ისაა, რომ მემარჯვენე ფედერალისტებმა ვერც ეხლა გამოიჩინეს დამოუკიდებლობა და მიბაძეს მენშევიკებს, როგორც მუდამ. მენშევიკების მოქმედება ყველასათვის გასაგებია. ისინი ვერ ურიგდებიან პარტიულ ბატონობის დაკარგვას და ხალხი, ერი, დამოუკიდებლობა, ეს ყველაფერი საშუალებაა მათთვის, რომ როგორმე ხალხის სიმპატია მოიპოვონ და შეინარჩუნონ. პარტია, რომელიც 20 წლის განმავლობაში გაცოფებული ებრძოდა. საქართველოს ავტონომიასაც კი ცარიზმის დროს, ეხლა გამოდის და სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვს საბჭოთა რუსეთიდან? აქედან ცხადია, რა ინტერესებით მენშევიკებს, საქართველოს დამოუკიდებლობა, ეროვნული კულტურა, თუ სხვა რამე.

მაგრამ პარტია, რომელიც იცავს ეროვნულ-სოციალისტურ პრინციპებზე დგომას, მემარჯვენე ფედერალისტები, რა მოსაზრებით ადგებიან ბოიკოტის გზას? ნუ თუ ამ საშუალებით შეიძლება ერის ინტერესების დაცვა? აქაო და უცხოელები იღებენ მონაწილეობას არჩევნებში და, ამიტომ ქართველებმა არ უნდა მიიღონო! სწორია მერმედ ეს ტაქტიკა ეროვნული პოლიტიკის თვალსაზრისით? რასაკვირველია არა! თუ უცხოელებმაც დებულობენ მონაწილეობას არჩევნებში და ეს არ არის სასურველი, მათი გაბატონება ტფილისის საბჭოში ხომ სულ დამღუპველი იქნებოდა? მაშ ხელი უნდა შევუწყოთ, რაც შეიძლება ნაკლები უცხოელი იქნეს არჩეული. ამისათვის კი საჭირო იყო მოგვეწოდებინა არც ერთი ქართველი მუშა, არც ერთი მოხელე თუ მოსამსახურე არ დაჰკლებოდა არჩევნებს. ყო-

## რევოლიუციის ბრჭყალები.

მშრომელთა კლასის თავგანწირული ბრძოლა დღითი-დღე ახალ ფაქტების, ახალ მოვლენების წინაშე გვაყენებს. ჩვენ ვხედებით მოწმენი რევოლიუციის გამარჯვების. ოთხი წლის ბრძოლით რეაქციის ფრონტზე, აუტანელი ეკონომიური კრიზისებით, სიმშილ-წყურვილით რუსეთის მუშათა მასსებმა შესძლეს თავისუფლების შენარჩუნება, კონტრ-რევოლიუციურ ძალების მოსპობა, განადგურება. დღეს აშკარად შეიძლება ითქვას, რუსეთის რევოლიუციამ შესძლო ფეხი საბოლოოდ გამაგრების, გამტკიცების ურყევ საფეხურზე, და ყოველგვარი იმედი, ყოველგვარი ცდა ანტი-რევოლიუციურ ჯგუფებისა, მოკლებულია რეალ საფუძვლებს. ამას ადასტურებს როგორც რევოლიუციის თანამედროვე სინამდვილე, მისი საერთო მდგომარეობა, აგრეთვე სრული იზოლიაცია, დაშლა-დაქუცმაცება კონტრ-რევოლიუციის ლაშქრის, რეაქციის ფიზიკურ ენერგიის. გენერალ სლაშჩევის მაგალითი, ყოველივე ამის საუცხოო ილიუსტრაციაა.

დენიკინ ალექსეევის ერთგული მემკვიდრე — ვრანგელი წარმოადგენდა სერიოზულ ძალას რევოლიუციის წინააღმდეგ მიმ რთულს. იგი იყო უკანასკნელი დამაყრდენი წერტილი შავრაზმელის, უკანასკნელი იმედი, როგორც რუსეთის, ისე ინგლის-საფრანგეთის, მთელი ანტანტის ბურჟუაზიის. ჩვენ გვახსოვს თეთრ-გვარდიელების საშინელებანი ყირიმის მიდამოებში, აწიოკება-აოხრება მუშათა ქოხების, სისხლის ღვრა და მრავალი სხვანი, რომელსაც, უეჭველია, შეგ ქალალზე ყვითელ ასოებით აღნიშნავს ისტორია რევოლიუციის მომავალი მემატიანე. მშრომელი ხალხთან ბრძოლაში, ვრანგელი სასტიკად დამარცხდა. რევოლიუციამ მას სტამბოლის ყავახანებში დაუმკვიდრა სამყოფელი...

სლაშჩევი გახლდათ ვრანგელის მარჯვენა ხელი იგი 1919—20 წ. წ. აქტიური მონაწილეობას იღებდა წითელ ლაშქართან ბრძოლაში. საგულისხმო იყო მისი სტრატეგიული ნიჭი და მეტად საშინელი სამხედრო სისასტიკე ნი:

„От растрелов идет дым:
То Слащев спасает Крым!“

რევოლიუციონურ ჯარების წინმსვლელობამ წილად არგუნა სლაშჩევსაც, სხვა გენერლებთან ერთად, საზღვარგარეთ—კონსტანტინეპოლში გადახვეწილიყო. მაგრამ არ გასულა ერთი წელიწადი კონტრ-რევოლიუციონერთა ემიგრაციის შემდეგ და სლაშჩევი უკვე უბრუნდება რუსეთს, თავის სამშობლოს!

დიდი გულუბრყვილობა იქნება, სლაშჩევის გულწრფელობაში, რომ არ შევიტანოთ ეჭვები. სლაშჩევი აცხადებს: „საბჭოთა ხელისუფლება არის ერთად ერთი ხელისუფლება, რომელიც გამომხატველია რუსეთის და მის ხალხის“, ამიტომ ოფიცრობის გან „მოვითხოვ, რათა დაემორჩილონ საბჭოთა ძალაუფლებას თავის ხალხის და სამშობლოს დასაცავად“. აშკარაა, სლაშჩევის ასეთი განცხადება მოკლებულია ყოველგვარ სიმართლეს, მას არა აქვს რეალი დირებულება. „მიუხედავად იმისა,—მოგვითხრობს სლაშჩევი,—რომ არა ვარ არამც თუ კომუნისტი, სოციალისტიც კი, მე მაინც მოვეპყრობი საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც მთავრობას... არ ვირიცხები არც ერთ პარტიაში, მაგრამ მინდა ვემსახურო ჩემს ხალხს, და წმინდა გულით (sic!) ვემორჩილები მის მიერ წამოყენებულ მთავრობას“.

არა, ჩვენ არ გვჯერა სლაშჩევის აღსარება! უდაოა ის, რომ სლაშჩევი არაა კომუნისტი, სოციალისტი, მაშასადამე სასაცილოა მისი ძსჯელობა „წმინდა გულით“ მშრომელთა კლასის და მისი მთავრობის სამსახურის შესახებ: სლაშჩევი არ შემოსულა რუსეთში „წმინდა გულით“ და სულით. იგი ისევ საწყაულია შავი ზრახვების, შავი აზრების და ფიქრების, მას ასაზრდოებს შავი საქმეები. ამას ადასტურებს ორი გარემოება პირველი: სლაშჩევი მოდის რუსეთში მას შემდეგ, რაც მთავრობამ ემიგრანტების დაუსჯელად მიღება განაცხადა. მეორე: იგი სტოვებს შავრაზმელთა ბანაკს იძულებით, წინააღმდეგ თავის სურვილისა, რადგან კონსტანტინეპოლში ემიგრანტების უმწეო მდგომარეობა უკარნახებდა სლაშჩევს გაპარვის, რუსეთში დაბრუნების აუცილებლობას.

დიდი რუსეთი! — აი სლაშჩევის იდეალი. „მე ვიცავდი არა ყირიმს,—ამბობს სლაშჩევი,—არამედ რუსეთის სახელს. ახლა მე მეძახიან რუსეთის სახელის დასაცავად, და მეც მივდივარ მოვალეობის ასასრულებლად“. სლაშჩევს არ სჯერა, რომ თანამედროვე რუსეთი არ არის ის რუსეთი, რომელიც არსებობდა ნიკოლოზის დროს. დიახ, სლაშჩევს ისევ შავი მიზნები ასულდგმულებს, მიზნები, რომელიც დიდი იმპერიალისტური რუსეთის აღდგენა-გამაგრებაში გამოიხატება. ეს ვიცით ჩვენ, იცის მშრომელ მასსებმა, და მისმა რევოლიუციონურმა მთავრობამ.

სლაშჩევი არსებითად მკვდარი ინვენტარია რევოლიუციისათვის. მისი დაბრუნებით რევოლიუციონურ ლაშქარს არაფერი შემატებია. მაგრამ სლაშჩევის „დეზერტირობას“ იმით აქვს დიდი მნიშვნელობა რევოლიუციისათვის, რომ გენ. სლაშჩევის სახით რეაქციამ საუკეთესო ხელმძღვანელთაგანი დაჰკარგა. კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკის შესუსტება, დაშლა-განიავება სინონიმია რევოლიუციის ბრწყინვალე გამარჯვების. სწორედ ასეთ მოვლენას აქვს დღეს ადგილი პოლიტიკურ ცხოვრებაში. სლაშჩევის ბედი არ არის უკანასკნელი ფაქტი, ის მხოლოდ შესავალია შავრაზმულ ძალების საზოგადო ტრაგედიის.

რევოლიუციის ბრჭყალებს ვერ გადურჩება ვერც ერთი მოღალატე მშრომელთა კლასის, თავისუფლების ვერც ერთი მტერი?

ბ. მუშიშვილი.

## ქალაქის ცხოვრება

1

ქალაქის ცხოვრება მეტად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს. მუნიციპალიზაცია და კომუნიზაცია ქალაქის განვითარების ღასაყრდენია. განათება, მოძრაობა, გზები, აბანოები, სანიტარია, ჰიგიენა, ადმინისტრატიული საქმეები ყოველივე ეს მოითხოვს დიდ ენერგიასა და შრომას, რომ დღევანდელ რთულ პირობებში ოდნავად მაინც მოწესრიგდეს ცხოვრების პირობები.

თუ საერთოდ ძნელია ქალაქის საქმეების გაძღოლა, მით უფრო ძნელია ტფილისის პატრონობა, რომელიც შემოსავლის მხრივ, თითქმის არაფერს იძლევა, ხოლო გასავალის მხრივ დიდ ხარჯებს მოითხოვს.

არსებითად დღეს ტფილისი ჩვენი ქვეყნის პარაზიტია. იგი ვერ იძლევა ნაწარმოებს, ხოლო ნთქავს სასოფლო მეურნეობის პროდუქტებს, რომელიც შემოდის ბაზარზე.

მცხოვრებთა რიცხვი ტფილისში დღეს დაახლოვებით 1 მილიონამდე აღის, რომელიც თითქმის ნახევარი საქართველოს უდრის. მილიონ მცხოვრებიანი ქალაქი ვერ იძლევა თითქმის ვერაფერს დოვლათს, რომელიც დააკმაყოფილებდა სოფლის მეურნეთა მოთხოვნილებებს. დღეს ტფილისი საქონლის, შემოტანილი საქონლის, საწყობია, რომლიდანაც პროგრესიულად იზრდება გასავალი და, რომელიც შემოსავლის მხრივ სამწუხარო სურათს წარმოადგენს. იყო ცდა ტფილისის განტვირთვის შესახებ, მაგრამ რამდენადაც ჩანს ნაყოფი ამ მხრივ მეტად მცირეა. ამ მხრივ კი საჭიროა მეტი ყურადღება. შტატების შემოკლება და ქალაქის გაწმენდა ზედმეტი, პარაზიტული ელემენტებიდან საუკეთესო გარანტია იქნება ტფილისში ცხოვრების გაიაფების, ბინის საკითხის მოწესრიგების და საერთოდ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაჯანსაღების.

საერთოდ მთელი ჩვენი ყურადღება დღეს ქალაქის ცხოვრების მოკვლევისაკენ უნდა მივაპყროთ. მართალია ცხოვრებას ნაწილობრივ გაუმჯობესება ეტყობა. ბაზარზე საქონელი ბლომად იშოვება, ტრამვაი მოძრაობს, ელექტრონისა და წყლის საქმე შედარებით კარგად არის დაყენებული, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი ენერგიის დახარჯვაა საჭირო, რომ ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს ცხოვრება. ჩვენ ხელთა გვაქვს ძთელ რიგი ფაქტებისა, რომელნიც ზედმ წყენით გამოხატავენ ქალაქის ცხოვრების ხასიათს.

უმთავრესი ყურადღების ღირსია ქალაქისათვის განათება. დღეს დღეობით ტფილისში არსებობს 17 სადგური ელექტრონისა, რომელსაც აქვს 62 ძრავა და რომლის საერთო ძალა უდრის 4473 ცხენის ძალას. დღეს მუშაობაშია მხოლოდ 24 ძრავა 1657 ცხენის ძალის ძომცემი.

29 ძრავა ხხოულობს საშუალო ან კაპიტალურ რემონტს. 9 სრულიად გაფუჭებულა და მათი შეკეთება ადგილობრივი საშუალებებით შეუძლებელია. ძრავები იძლევიან ორ მესამედს იმ ძალისას, რომელსაც უნდა იძლეოდენ ჩვეულებრივად. მიზეზი ამისა არის სიძველე ძრავისა, შეკეთება და სხვა და სხვა ნაკლულოვანებანი.

ამ რიგად ელექტრონის ენერგიით გაძლიერებას წინ ელობება დაუძლეველი დაბრკოლებანი. უფრო ხელსაყრელ პირობებში არის ტრამვაის საქმე.

1910—1911—1912 წ—ში, იყო 105 მოტორიანი ვაგონი ქალაქის განკარგულებაში, მაგ. შორის 25 თებერვლამდე ე. ი. ახალ ხელისუფლებამდე მოძრაობაში დარჩა მხოლოდ 37 ვაგონი 28 მისაბმელით. ივნისის დასაწყისში ლიანდაგზე დარჩა მხოლოდ 17—20 მოტორიანი ვაგონი, ამდენივე მისაბმელით.

ვაგონების გაფუჭებამ გამოიწვია შეჩერება ტრამვაის მოძრაობის.

ენკენისთვის შუა რიცხვებამდე შეკეთდა 41 ვაგონი, რომლის საშუალებით განახლდა მოძრაობა.

მოძრაობის წესი, როგორც უკვე ცნობილია, შემდეგში მდგომარეობს: მუშა-მოსამსახურეთათვის უფასოდ რიგდება აბონიმენტები, ხოლო დანარჩენი იხდის მთელ გზაზედ 5,000 მ. ნახევარზე 3,000 მანეთს.

დღიური შემოსავალი ტრამვაის მოძრაობიდან არის 48,000,000 მ. აქედან წმინდა შემოსავალი რჩება ქალაქს 26,000,000 მანეთი დღიურად.

„მაზუთის“ უქონლობის გამო მოძრაობაშია მხოლოდ 26 ვაგონი. ახალ წლამდე აუცილებლად შეკეთებულ იქნება 55 მდე ვაგონი. ორი თვის განმავლობაში ვაგონთა რიცხვი მიაღწევს, რევოლიუციამდე არსებულ ვაგონთა რიცხვს. აგრეთვე განზრახულია მეტი გადიდებაც ვაგონების, თუ უცხოეთიდან მოხერხდა მასალების მიღება. საერთოდ, ეს ჯერ-ჯერობით საეჭვოა, მაგრამ განზრახულია, რომ მასალების მიღების შემდეგ ვაგონთა რიცხვს აიყვანონ ომამდე არსებულ რიცხვის დონემდე.

ასე, რომ ამ მხრივ ქალაქის რევკომის მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. ეტყობა, რომ საქმეს ხელმძღვანელობს ენერგიული მუშაკნი და დღევანდელ უმწეო ობიექტიურ პირობებშიაც კი ახერხებენ საქმის მოგვარებას და გაუმჯობესებას.

კიდევ მრავალი საინტერესო ცნობებია ქალაქის ცხოვრების შესახებ, რომელნიც ბევრ რამეს გვეუბნება, როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხრივ, მაგრამ ამაზედ შემდეგ.

ხ—ელი.

## ახალი ამბები

— ესტეტიური საღამო. ოთხშაბათს დეკემბრის 14-ს „ქიმერიონის“ პატარა დარბაზში გაიმართა პირველი ესტეტიური საღამო. მოხსენებები წაკითხულ იქნა „პოეზიის სეზონზე“. ტიციან ტაბიძის, პ. იაშვილის და გრიგოლ რობაქიძის მიერ, დასასრულ ლექსები წაიკითხეს პოეტებმა გალ. გაფრინდაშვილმა, შალვა კარმელმა, ტერენტი გრანელმა ს. ჩიქოვანმა, გ. საგანელმა და სხვებმა. აუდიტორიას საკმაოდ დაესწრო.

— 19 დეკემბერს, ორშაბათს საღ. 5 საათზე ხელოვნების სასახლეში სერგიევის ქ. № 13 „დანიშნულია საერთო კრება ქართულ ხელოვნების მოღვაწეთა. კრება განიხილავს ახალ გეგმას კავშირის რეორგანიზაციისას.

— 19 დეკემბერს რუსულ დრამაში დანიშნულია ზეიმი 20 წლის იუბილე არტისტი ვ. ა. ოპოლენსკისა მოღვაწეობისა. დადგმულ იქნება პიესა „ჰენრიხ ნავარიელი“. მთავარ როლს შეასრულებს იუბილიარი.

— მოსკოვში გაგზავნილია სპეციალური ინსპექცია სახალსისურ. კომისარიატის კოლეგიის წევრის ამხ. ატოევის მეთაურობით; მისი მიზანია ჩაირიცხოს საქართველო სახელმწიფოებრივ მიწოდების გეგმაში რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკისა და გამოყენებული იქმნას ყველა საშუალება სასურსათო რესურსების გასაძლიერებლად ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკებისათვის. გარდა ყოველთვიურ 50,000 ფუთი პურის დახმარებისა რ. ს, ფ. ს. რ. დამატებით გამოუშვებს საქართველოს საჭიროებისათვის ყოველ თვიურად 20,000 ფუთს პურს.

— ქუთაისში დასრულდა პირველი უპარტიო წითელ არმიელების კონფერენცია, ცალ-კავკასიის არმიისა. ცენტრალური ადგილთაგანი კონფერენციაზე დაიჭირა ვოლგის სანაპიროების დახმარების საკითხმა. მოსმენილ იყო მოხსენება სიმშილის საშინელებაზე. ერთმა ორატორთაგანმა, მოიყვანა ციფრები თუ

როგორ ეხმარება ბურჟუაზია დამშეულთ და, როგორ ეხმარება პროლეტარიატი მათ.

ქუთაისის ბურჟუაზიამ მთელი ამ ხნის განმავლობაში შესწირა 7 მილიონი მანეთი, მაშინ, როდესაც ქალ. ქუთაისის სამხედრო ნაწილებმა მისცეს 58 მილიონი. კონფერენციის თავმჯდომარემ ამხ. სადგრანოვიჩმა სთქვა: დიდ ადგის ის, ვინც მზად არის მისცეს დამშეულთ თავისი სანოვაგის მეათედი ნაწილი. მთელი კონფერენცია როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა. შემდეგ გამოტანილი იქმნა საპატიო რეზოლუცია, რომ თითოეული 10 წითელი არმიელი თავის თავზე მიიღებს ერთი დამშეულის გამოკვებას. კონფერენციის მონაწილენი დაიშალნენ თავიანთ ნაწილებში, სადაც აწყობენ კრებას და აუწყებენ კონფერენციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ყველა ნაწილები კონფერენციის გადაწყვეტილებას დიდის აღფრთოვანებით ხვდებიან.

# რუსეთი

**ბაქო.** 7 დეკ. სახალხო სამიწათ-მოქმედო კომისარიატმა გასცა 16 მილიონი მანეთი მდინარე არაქსისა და მტკვრის ნაპირების გასამაგრებლად. ამ მუშაობისათვის აზრათ აქვთ გლეხთა მობილიზაცია. ბაქო ჯულფიდან არაქსამდე გზის მუშაობის გასაძლიერებლად გაცემულია 25 მილიონი მანეთი.

**ნიკოლაევი.** 13 დეკ. ოდესაში დაწესდა ერთდროული გადასახადი კულტურულ განმანათლებელ საჭიროებისათვის, მოვაჭრეებზე და მრეწველთა და კუსტარებზე, რომლებიც სარგებლობენ განზე შემოსავლით და აგრეთვე საშინაო მეურნეობით და ყავთ მოსამსახურე. ამას გარდა ხდება აკრეფა ყველა კერძო წამოწყებისა პატენტებზე პროცენტების დამატებით. შემოღებულია გადასახადი რეკლამებზე და პლაკატებზე, რომელთაც აქვთ კომერციული მიზანი.

**ნიკოლაევი.** 13 დეკ. 15 დეკემბრიდან ნიკოლაევის გუბერნიაში გატარებული იქნება პროფ.-ინტერნის კვირა.

**ნიკოლაევი.** 3 დეკ. ოდესის გუბერნიის საგანგებო კომისიამ მოახდინა აფთიაქის მოსამსახურეთა გაფიცვის გამოძიება და აღმოჩნდა, რომ გაფიცვა იყო მოწყობილი ყოფილი აფთიაქის მუშათა კავშირში. ყოფილი მწარმოებელთა ბიროში აგიტაციის გამომწვევი ვაჭრის შემდეგ, გაფიცვა შეწყვეტილ იქმნა თვით აფთიაქის მუშაკთა მიერ. ყოფილი პატრონი აფთიაქის მალ. ზაიცა, ბუნცელმანი წაქეზებისათვის და გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისათვის, დასჯილ იქმნა ერთი წლის კონცენტრაციულ ბანაკში დატუსაღებით. მეორე ყოფილი პატრონი აფთიაქისა, რომელსაც თავი უჩიდურ და მშიერ ფარმაცევტად მოქონდა, იმავე დანაშაულობისათვის დასჯილია 3 წლით კონცენტრაციულ ბანაკში დატუსაღებით. მოქ. ზაკს გაფიცვის დღეს აღმოაჩნდა რამდენიმე მილიონის მედიკამენტები მოპარულ სპეკულიაციის მიზნით.

**ნიკოლაევი.** 13 დეკემ. ნიკოლაევის რევ. ტრიბუნალმა განიხილა 390 საქმე სხვა და სხვა პირთა, რომლებიც ემალებოდენ სასურსათო გადასახადს. გამოტანილია 310 საბრალდებულო განჩინება.

**ნიკოლაევი.** 13 დეკ. ოდესაში 1 დეკემბრიდან შემოღებულია გადასახადი ბინაზე. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მუშები და მოსამსახურენი თითოეულ კვადრატ საჟენზე იხდიან 1500 მანეთს თვეში. ის პირნი, რომელნიც ეწევიან ვაჭრობას და თავისუფალ პროფესიას იხდიან 10 000 მანეთს თვეში.

**მოსკოვი.** დეკ. 14 ხარკოვში ჩამოვიდა ოსმალეთის რეპატრიაციული მისია. ერთი მისიის წევრი ტაგანროგში წავიდა, ტაგანროგი წარმოადგენს ცენტრალურ პუნქტს ოსმალეთის მოქალაქეთა რეპატრიაციისას.

**მოსკოვი.** დეკ. 14 ნოვოროსის რაზმაც ლიკვიდაცია გაუკეთა თეთრსა და მწვანე ბანდიტებს, რომლების მოქმედობდენ პოტუხაევის რაიონში. მოქალაქეთა საერთო კრებამ გადაწყვიტა სტაროდევეკოვის რაიონში 2 დღის ვადაში, გაათავოს საქმე ბანდიტიზმთან თავის რაიონში, სტანიცის ყველა მოზრდილებმა და ქალებმა მოახდინეს თავდასხმა. დაჭერილია 4 ბანდიტი. აღმოაჩინეს ბუდე ბანდიტებისა 14 მათგანი უწინადმდეგოთ დანებდა.

**მოსკოვი.** დეკ. 14 ზამთარმა ახალ განსაცდელი მიაყენა დამშეულთ. უნდა გაათკეცდეს ჩვენი ღონისძიება.

**მოსკოვი.** დეკ. 14 დამშეულ გუბერნიებში შავი სახადი მძვინვარებს. სენს ეპიდემიური ხასიათი აქვს და სხვა გუბერნიებში გადადის. ავათმყოფებთა შორის უმრავლესად ლტოლვილები არიან.

# უცხოეთი

**ლონდონი.** „დეილი გეროლდი" უძღვნის სპეციალურ სტატიას კაპიტალისტურ სისტემა' და სხვათა შორის სწერს: ევროპის საერთო მრეწველობის მდგომარეობის ახლო გაცნობა, გვიჩვენებს ლუვანდელ ქაოსის სურათს, რომელშიაც ჩააგდო კაპიტალისტურმა სისტემამ მთელი მსოფლიო. ინგლისი პირის პირ შეხვდა უცნაურს უმუშევრობას რომლის რიცხვი ორ მილიონ კაცამდე აღწევს. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ უმუშევართა რიცხვი მომავალ წელს კიდევ უფრო გაძლიერდება. ფაქტები გვიჩვენებენ რომ ცენტრალურ ევროპაში მილიონი ხალხია დამშეული. ამ საშინელი სურათის გვერდით, ჩვენ ვხვდებით ზოგიერთ ქვეყნებში გადამეტებულ სურათს. მაგ. კანადაში, სადაც სამჯერ მეტი სანოვაგეა ვიდრე მას ესაჭიროება, იმ დროს როდესაც მეზღვაურები განიცდიან შიმშილს და სურათის ნაკლებობას. 100 წლის შემდეგ ხალხი წაიკითხავს ამ ფაქტებს ისტორიულ მიმოხილვაში და იფიქრებენ, რომ ჩვენი თანამედროვენი გიჟები არიან. ავტორი თავის სტატიას ასრულებს შემდეგ განცხადებით. თუ რომ 10 წლის განმავლობაში არ იქნება სოციალისტური მთავრობა მაშინ იმ ბავშვებს რომლებიც ეხლა 17 წლისანი არიან მოუხვდებათ გასვლა კაპიტალისტურ ნგრევის ისეთს საშინელებიდან, რომლის წინაშე უკანასკნელი ომის საშინელება არასფრათ არ გამოჩნდება.

**მოსკოვი.** 14 დეკ. ამერიკის ჩიკაგოში დაიწყო დიდი საქონლების მუშების გაფიცვა. მათსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა. მოკლულია 9 კაცი გაფიცვა სხვა ცენტრებშიაც მოხდა, სადაც არის დიდი რიცხვი საქონლის.

**მოსკოვი.** 14 დეკ. ნორვეგიის უმაღლესმა სასამართლომ გაამართლა ნორვეგიის მუშათა პარტიის თავმჯდომარე, რომელსაც სამ დანარჩენ პირთან ერთად ბრალსა სდებენ აკრძალული რუსული ლიტერატურის გატან-გამოტანაში. ბრალდებულთ უმაღლესი სასამართლოს ინსტანციამ მიუსაჯა 1000 კრონა ჯარიმა, და ლიტერატურის სეკვესტრი. ასეთი განაჩენი უმაღლესმა სასამართლომ უკანონოთ იცნო.

**ლონდონი.** პარიზიდან იუწყებიან, რომ დეპუტატ ლაფონმა განაცხადა: საფრანგეთის მთავრობამ კაცობრიობის და ცივილიზაციის სახელით უნდა დაეხმაროს რუსეთსაო.

**ნაუენი.** 14 დეკ. ლოიდ ჯორჯი თანახმაა დაიწყოს მოლაპარაკება კრასინთან.

**ბორდო.** 14 დეკ. ლოიდ ჯორჯმა გადასწყვიტა მოიწვიოს მინისტრთა საბჭო გერმანიის ფინანსიურ დახმარების საკითხზე სათათბიროთ.

**პარიზი.** 13 დეკ. ათონიდან რუსეთში გაემგზავრა საბერძნეთის მისია წითელი ჯვრისა, ვოლგის სანაპიროს დამშეულთა დასახმარებლად.

**ბორდო.** 13 დეკ. საფრანგეთის პრეზიდენტმა გამოაქვეყნა დეკრეტი რუსეთის მთავრობისა ემიგრანტების შესახებ. თანახმად დეკრეტისა, რუსეთის მოქალაქე, რომელსაც დატოვებია რუსეთის საზღვარი 1917 წ. შემდეგ მთავრობის ნება დაურთველად კარგავს უფლებას რუსეთის მოქალაქისას.

**პარიზი.** 13 დეკ. საფრანგეთის ყოფილი სამხედრო მინისტრი ლეფერი იუწყება, რომ გერმანია ფარულად ემზადება მობილიზაციისათვის. ყველაფერი გვარწმუნებს, რომ აზრათ აქვთ მობილიზაცია უყონ 7 მილიონი კაცის არმიას. მიღებულია ფარული ზომები სამხედრო ძალთა კონცენტრაციისათვის, ყველაფრიდან სჩანს, ამბობს დასასრულს ლეფერი, რომ გერმანია არ ემორჩილება განიარაღების მოთხოვნილებას და რომ მილიტარისტული იდეია და, აგრეთვე რევანშისა ცოცხალია, როგორც მთავარ შტაბში, ისე ხალხში.

**პარიზი.** 13 დეკ. „ტანი" სწერს: ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოთხოვნილება ბერძნების დაუყოვნებლივ შეჩერებისა მცირე აზიიდან წარმოადგენს პირველ პირობას სწრაფი და მტკიცე ზავისას მცირე აზიაში, „რომელიც მისაღები იქნება ოსმალთათვის და შეხამებული ანტანტის ინტერესებთან.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

„ტაიმსი" სწერს ახლო აღმოსავლეთის შესახებ: „საფრანგეთისა და ანგორას შორის ზავის შეკვრა ნიშნავს მეტად დიდ ცვლილებას ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობაში. ფრანგ მოკავშირეების მიერ მიღებული განცალკევებული პოლიტიკა, უჩვენებს ოფიციალურ პოლიტიკიდან გადახრას და ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ხმები რომელნიც გავრცელებულია ამ ომის გამო, არ არის მაინცდამაინც [illegible] მოკავშირე[illegible] სათვის, ამბობენ, რომ [illegible] გარდა ანგორა [illegible] ხმდა, რათა ამ უკანასკნელმა დაუჭიროს მხარი ოსმალეთის მოთხოვნილებებს კილიკია და ფრაკიაში. ამასთან ერთად ხმები არის საიდუმლო შეთანხმებაზე, რომელიც არ არის მთლად საჭირო ბრიტანიის ინტერესებისათვის მესოპოტამიაში. ჩვენ არა გვწამს ეს ხმები ორი მიზეზით. ერთი ის, რომ საფრანგეთმა განაცხადა, რომ საიდუმლო ხელშეკრულება არ დაუდევს და მეორე, შეუძლებელია ვირწმუნოთ, რომ ჩვენი ფრანგი მოკავშირეები დადებდენ ქემალისტებთან ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც პირდაპირ და ნათლად ეწინააღმდეგებოდეს ბრიტანიის ინტერესებს და ინტერესებს იმ მშვიდობიანობისას ახლო აღმოსავლეთში, რომლის დაცვაც თავს იდევს მოკავშირეებმა. აგრეთვე ეს ხმები სავსებით ეწინააღმდეგება ამას წინათ ბრიანის მიერ გაკეთებულ განცხადებებს საფრანგეთის ერთგულებაზე ანტანტის პრინციპების მიმართ. მაგრამ რჩება ფაქტი, რომ ხელშეკრულება ქემალისტებსა და საფრანგეთს შორის საგრძნობლად შესცვლის ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის ხასიათს ამჟამათ მოკავშირეებს უჭირავთ კონსტანტინოპოლი და დაუშვათ, რომ ბერძნებთან ომის გათავებით, ქემალისტები დაესხმიან კონსტანტინეპოლს, შეუძლიათ თუ არა მაშინ ფრანგებს შეუერთდნენ ინგლისელებს ამ თავდასხმის წინააღმდეგ, როდესაც ხელშეკრულება აქვთ ქემალისტებთან დადებული? თუ კი შეიქმნება ქემალისტური შეთქმულება სულთნის და ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგ, რომელთაც აქამდე მხარს უჭერენ ყველა მოკავშირენი, შეუძლიათ თუ არა მაშინ ფრანგებს ამ უკანასკნელებთან შეთანხმებით მოქმედება. ცხადია, რომ სეპარატიული ზავი საფრანგეთსა და ქემალისტებს შორის გამოიწვევს აღმოსავლეთში მოკავშირეების უთანხმოების შთამბეჭდილებას, რაც საზარალოა დიდ სახელმწიფოთა პრესტიჟისთვის აღმოსავლეთში. ჩვენ რასაკვირველია არა გვაქვს მეგობრული გრძნობები ოსმალთა მიმართ.

ჩვენ არ შეგვიძლია ვაპატიოთ მათ საშინელი მოპყრობა ჩვენი ტყვეებისადმი ომის დროს და სიმკაცრე სომხების და სხვა ქრისტიანების წინააღმდეგ.

# ლოდელი მურის მამიებელი

რევოლიუციონური პიესა 1 მოქმედებად.

მოქმედება ხწარმოებს პარიზში, 27 მაისს 1871 წ. პარიზის კომუნის დღეებში.
(თარგმანი ხ. ახვლედიანიშვილისა.)

**მომქმედნი პირნი:**

**სარდოკი**—კომუნის დამცველ ფედერალისტების რაზმის უფროსი, ყოფილი ცეცხლფარეში (кочегар), 40 წლის. შავი მოკლედ შეკრეჭილი თმა და ქერა ულვაშები მაღალი ტანის. ფართე შუბლი. მამაცი გაშლილი სახე. სამხედრო ტანსაცმელშია. თავი გასისხლიანებულ თეთრ ცვირსახოცით აქვს შეხვეული.

**ლუონა**—ამის ცოლი. ნახევრად ჩაცმულია ნაფლეთებში. მშვენიერი, უწესრიგოდ გაშლილი წაბლისფერი თმა, გაფანტული ბეჭებზე. მკრთალი მოქანცული სახე. მკვირცხლად მანათობელი თვალები. ხელში ჰყავს ბავში, ჩითის კაბაში შეხვეული. ფეხშიშველია.

**მოხუცი ფედერალისტი** — ქალ. რაკოლლობს. ნაციონალურ გვარდიელის ტანსაცმელშია. ცისფერი „კურტკა" სპილენძის ფოლაქებით, ცისფერი შარვალი და წითელ ლამპასებით. ლურჯი ქუდი (კეპი) წითელი კანტით, თეთრი შტიბლეტები. ტანსაცმელი დახეულია და ტალახში ამოსვრილი. ბეჭებზე მოხურული გრძელი ყავის ფერი სამხედრო მაზარა. ძკაცრი შეხედულობა, ჩახრინწული ხმა.

**გუშაგი**—დახეული რუხი ან მწვანე, ფერის მაზარა. ახალგაზრდა, უულვაშო.

**1, 2 და 3 ფედერალისტი**—სიმაგრის დამცველნი. ას კაცამდე. ჩაცმული არიან ნაირნაირად. ყავისფერი, რუხი, მწვანე სამხედრო მაზარები, ნაციონალურ გვარდიის მუნდირ ბი, მუშური ტანსაცმლები. სხვა და სხვა კალიბრების და სახეობის შერეული იარაღი. ყველანი გასვრილნი. დაღალულები არიან. მერვე დღე დაუცხრომელ ბრძოლაში არიან.

სასაფლაო პერ-ლაშეზა. სცენას მარცხნიდან მარჯვნივ სჭრის სასაფლაოს კედელი, სცენის სიღრმეში წითელი დროშაა აღმართული. რამპასთან ახლოს კედელი გარღვეულია, ყრია კრამიტების გროვა და დამტვრეული ძეგლები. რამოდენიმე ზარბაზანი და მიტრალეზა. ნისლიანი ადრიანი დილაა. პერსპექტივაში ცეცხლის კვამლია. შორიდაც ისმის ზარბაზნების გრიალი. ხან ძლიერდება, ხან ნელდება თოფის სროლა. ფედერალისტები ეწყობიან სანგრებში, ხლართების უკან შეფარულნი ძეგლის მახლობლად დგანან.

**გამოსვლა 1.**

(მოხუცი ფედერალისტი ზის ზარბაზნის მახლობლად, რომლის გვერდითაც გაჩაღებულია პატარა ცეცხლი, ცეცხლთან კი 1 და 2 ფედერალისტებია. დანარჩენები კი ცეცხლის ირგვლივ, მივლენ, თუთუნს უკიდებენ, ისევ წავლენ სანგრებისაკენ.)

**მოხუცი ფედერალისტი** დამშვ უკვე განვლო და უფროსი კი მაინც არ არის. ვერსალელებთან მოლაპარაკება ძნელია.

**1 ფედერალისტი.** არც იყო საჭირო ლაპარაკი. ის პატარა ძაღლი—ტიერი ლაპარაკის კი არა, ბაწრის ღირსია. უფროსი იმედოვნებს, რომ ისინი დიდსულოვანობას გამოიჩენ.

**2 ფედერალისტი.** (წრიდან) ეშმაკსაც წაუღია ამგ არამზადების დიდსულოვანობა. გავგზავნოთ ვერსალში ორმოცდაათიოდე კარგი ყუმბარა, რაც უკეთესი იქნებოდა და (მიუთითებს ზარბაზანს) ისინი თვითონ დაკარგავდენ ხმას. უფროსი არ უნდა წასულიყო თავის დასაკარგავად. მე არ მინდა ჩავბარდე ვერსალელ არამზადების მოწყალებას.

**მოხუცი ფედერალისტი.** უფროსს არ უნდა უსარგებლო მსხვერპლი. ჩვენ შემორტყმულნი ვართ. წინააღმდეგობა თითქმის უსარგებლოა. მაგრამ ჩვენ კიდევ შეგვიძლია დავნებდეთ საპატიო პირობებზე, იმისათვის რომ...

**1 ფედერალისტი.** იმისათვის, რომ ჩვენზე თითით უჩვენოს. თქვენ მხდალები ხართ, რომელთაც სიკვდილის შეეშინდათ—იმისათვის რომ ბურჟუაზიულ ხროვას ეფურთხებია ჩვენთვის სახეში და დაეცინა? შევინარჩუნოთ სიცოცხლე სამარცხვინოთ.

**მოხუცი ფედერალისტი.** არა შურისძიებისათვის, არამედ შურისძიებისათვის, დღეს ჩვენ ძლეული ვართ. კომუნა დაეცემა. მაგრამ ჩვენ დავრჩებით მის იდეალების მატარებელნი. ჩვენ ვიქნებით შურის მაძიებელნი ჩვენი ძმების, მამების, ცოლების, ბავშვების, მეგობრების სისხლისა, რომელიც დაიღვარა პარიზის ქუჩების ქვაფენილებზე და ბარიკადებზე, ამისათვის კი სიცოცხლე ღირს.

**1 ფედერალისტი.** კომუნა არ დაიღუპება, ჩვენ რომ მოვკვდეთ კიდეც. ის უჩვენოთაც იცოცხლებს და ხალხის საბრალზე დაესხმის თავს ბურჟუაზიას, რომელმაც გასცა საფრანგეთი და ჩვენი სახელები შეიქმნება საუკეთესო შურისძიებათ, ისინი განათლდება ყველას წინაშე, ვისაც კი არ უნდა მონად დარჩენა, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება, რომლისათვისაც ჩვენ ვიბრძვით, უფროსი კი...

**2 ფედერალისტი** (აწყვეტინებს). შენ გინდა უფროსის, შეურაცყოფა, გინდა სთქვა, რომ მისთვის ძვირფასია საკუთარი სიცოცხლე. ნუ იზამ მაგას. მე დიდი ხანია ვიცნობ სარდოკს. ერთად დავდიოდით ორთქმავალზე პარიზიდან ბორდოში და უკან. ის იყო ცეცხლფარეში, მე კი მისი შემწე..

**1 ფედერალისტი.** ახლა კი შენ ხარ ცეცხლფარეში, ის კი..

**2 ფედერალისტი.** დიახ. და მე ვემორჩილები მას, მაგრამ ამაში არაა საქმე. სარდოკს ყოველთვის თავის სიცოცხლეზე უფრო სხვების სიცოცხლე ერთია. მე მახსოვს ერთხელ დილით ადრიანად, ჩვენ ავიღეთ რა სწრაფი სვლით მივქროდით მინდვრებში და უახლოვდებით პარიზს, საერთოდ როდესაც უკანასკნელ წერტილს უახლოვდები, ჩინდა ბილო სწრაფი სვლეიბა. და, მე თმა ყალყზე ამიდგა.. წინ.. რელსებზე.. კაცია.. გავაჩეროთ მანქანა, მაგრამ მივქრით დაქანებულზე. უბედური დაიღუპა. ამავე დროს სარდოკი უკვე ქვების წინ ბაქანზეა. გავიგონე მხოლოდ: „ჟან. მიეცი ნიშანი, დაავი ბაწარი და გამომყევი". ის დაეკიდა ბაწარზე, მოსჭიდა ფეხები ბთ ფერს და.., მატარებელიც მივარდა მეჩავთან. მე არ მწამდა მისი გადარჩენა. მაგრამ ის უკვე სარდოკის ხელებში იყო. მას ხომ რკინის თითები აქვს. ის ქალი იყო, თურმე შეუცდენია და მიუტოვებია ახალგაზრდა ბურჟუას, რის გამოც დაწოლილია რელსებზე. სარდოკმა კი გადაარჩინა და ის ქალი გახდა მისი ცოლი.

**1 ფედერალისტი.** სად არის ახლა ის ქალი.

**2 ფედერალისტი.** იქ დარჩა. მას ჩქარა ბავში უნდა ეყოლოს და შესაძლებელია ბავში უკვე მოკვდა. დაბადებისთანავე.. სარდოკი კი მათთან არის.

**მოხუცი ფედერალისტი.** (პირველ ფედერალისტს) ხანდისხან საჭიროცაა უკან დახევა, რათა უკეთ გადახტე. სიცოცხლე არა სიცოცხლისათვის შეინარჩუნო, არამედ ბრძოლის სახელისათვის. უფროსი მართალია, ჩვენ.. ჩვენ.. უნდა დავუჯეროთ მას.

**1 ფედერალისტი.** მე ვიცი ეს, მოხუცო, მაგრამ (ზარბაზანი აწყვეტ ნებს ხმას).

**გუშაგი.** ვინ მოდის?

**ხმა.** თქვენები იგმონგრეულ კედელში გამოჩნდება სარდოკი. ის მარდათ გადმოხტება მაღალ ჯავშ აგურებზე დ ხლართებზე. ძკელებს, შუა სწრაფად ცეცხლს მოუახლოვდება. მას მოყვება მედროშე და ორი ფედერალისტი. ერთს თეთრი ალამი აქვს ხიშტზე. ის გაჯავრებული მოგლეჯს ალამს. ჯარისკაცნი სარდოკს გარს ერტყმიან.

**მოხუცი ფედერალისტი.** გისმენთ.

**ხმები.** რა არის ახალი? როგორი პასუხია?

**სარდოკი.** (გადაავლებს ყველას თვალს ხანგრძლივად) წინადადება გვაქვს მოცემული ყოველ პირობების გარეშე დავნებდეთ. ოცდა ხუთი წუთი მოსაფიქრებლად, საყვარელო მეგობრებო!

**ხმები.** ყოველ პირობების გარეშე..

**ყველანი ერთხმად.** „გაუმარჯოს კომუნას"! „ძირს ტიერი!- წყეულიც ვერსალელებს".

**სარდოკი.** ოცდახუთი წუთი მოსაფიქრებლად.. ადგილებზე ამხანაგებო.., უნდა დავთვალოთ ამხანაგებო დარჩენილი ყუმბარები. (ძმიმეთ დაეშვება ზარბაზნის ტარზე, ზის ჩაფიქრებული).

ფედერალისტები სწრაფათ იშლებიან. კედლისაკენ, სანგრებში ისმის ცალკე ხმები: „დაჭრილები ცალკე", „სადაა ფლორანსი" და სხ;

**მოხუცი ფედერალისტი** (მივა სარდოკთან) ყოველ პირობების გარეშე და ათიოდე ტყვია თითოს, ეს გამარჯვებულის მოწყალებაა. ზედმეტი ქიქა სისხლი ვერსალისთვის. ტიერი მითია მთვრალი და კიდევ უცდის.., იმათ ჯერ არ იციან, როგორი გადახდა ვიცით...

**პირველის ხმა.** სამასი კაცი; იმათგან ორას შვიდი დაჭრილია და აგერთვე ტყვეა.

**სარდოკი.** მაშასადამე ოთხმოც და ცამეტი, რომელსაც ბრძოლა შეუძლია და ათი ტყვია კაცზე.

**მოხუცი ფედერალისტი.** ჩემი ათი ტყვიიდან არ დაიკარგება. მე მათ კარგ სამიზნებით უჩვენებ.

**სარდოკი.** ჩემკენ მეგობრებო (ფედერალისტები მის ირგვლივ იკრიფებიან). მეგობრებო... ძმებო.. 15 წუთის შემდეგ ეს „დამწყნარებულნი" აქ იქნებიან... ყველა თქვენგანმა მოემზადეთ შესაფერის დასახვედრად. დე, ჩვენმა შვილებმა სთქვან შემდეგში, თუ როგორ შესძლეს სიკვდილი ოთხმოცდაცამეტმა პერ-ლაშეზის სასაფლაოზე. ჩვენი სისხლით ჩაიწერება ეს დღე ჩვენს საყვარელს საფრანგეთის ისტორიაში, დიდი ხალხის ისტორიაში, კომუნის ისტორიაში.

**საერთო გამოძახილი.** გაუმარჯოს კომუნას.

**სარდოკი** (განაგრძობს) ერთ ჩვენს შემდეგ მოვა და აიღებს სისხლიდან დალეულ ჩვენს პატიოსან დროშას, ამაყათ იტყვის „მათ სიკვდილი სიკვდილითო".—და კომუნა კვლავ იშვება.

ადამიანის ბედი არ დაიღუპება. ის სისხლითაა ნაყიდი. შესაძლებელია, დღეს ის წაგვართვან, მაგრამ საფრანგეთის ხალხი კვლავ ასწევს თავის კუნთებიან

მაგრამ უდავოა, რომ მათ აქვთ უფლება ეროვნული არსებობისა.

გერმნის ხალხის ინტერესებისათვის სასურველია, რომ გერმნებმა გასწმინდონ ან ტოლია. საჭიროა საჩქაროთ შეთანხმება საფრანგეთთან ახალი მდგომარეობის შესახებ, რომ დავიწყოთ მოლაპარაკება ყველა მოკავშირეების სახელით მტკიცე ზავის შესაკვრელათ ოსმალეთთან".

„ტანი"-ს 3 ნოემბრის ნომერში, წერილში: „ირლანდიის და მსოფლიოს ზავი"—ვკითხულობთ: ჩვენი მსოფლიოს ყველა საკითხები ისეა გადაჯაჭვული ერთიერთ შორის, რომ წყნარი ოკეანეს საკითხი დამოკიდებულია იმ მოლაპარაკებისაგან, რომელსაც აწარმოებს ინგლისის მთავრობა ირლანდიის რესპუბლიკანელებთან. მოლაპარაკების შეწყვეტა არამც თუ ხელს შეუშლის ჯორჯს ვაშინგტონის კონფერენციაზე წასასვლელად, არამედ დიდ გავლენას მოახდენს ამერიკის საზოგადოებრივ აზრზედაც. ამით აიხსნება, თუ რატომ ვსდუმთ ჩვენ ირლანდიის საქმეების შესახებ. ის ფაქტი, რომ ულსტერის ცნობილმა წარმომადგენელმა გამოსთქვა თავისი აზრი საფრანგეთის პრესაში, რომელიც აკრიტიკებს ლლოიდ ჯორჯს, ამხნევებს ფრანგულ გაზეთებს ირლანდიის საკითხის განხილვის საქმეში. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თემთა პალატაში კამათმა მიიღო ისეთი სახე, რომელიც გააკვირვებს ფრანგებს. მინისტრთა უმრავლესობამ ირლანდიასთან მოლაპარაკების გაგრძელებას მისცა ხმა. კვენჯის ყრის დასაწყისის წინ თემთა პალატამ მოისმინა ჩემბერლენის სიტყვა, რომელმაც განაცხადა, რომ ირლანდიის დელეგატები მოქმედებდნენ, როგორც პატრიოსანი ხალხი, რაც შეთანხმების პირველი პირობაა. ლლოიდ ჯორჯს უსაყვედურებდნენ, რომ იგი აწარმოებს მოლაპარაკებას ირლანდიასა მალულად ჯორჯიმ. იმართლა თავი, მან სთქვა: არის ორგვარი ფორმა კონფერენციისა 1) საჭირო, სადაც ესწრებიან ჟურნალისტები და სხვები, და 2) დახურულ კარებში პირველ შემთხვევაში არ კეთდება არავითარი მნიშვნელოვანი საქმე. მეორე შემთხვევაში კი მოსალოდნელია დიდი რეზულტატები. ჯორჯის აზრით, მოლაპარაკების შეწყვეტით აუცილებლად შეიქმნება მძიმე მდგომარეობა. „პირველი მოვალეობა მთავრობისა,—სთქვა ჯორჯმა; არის მიმართოს ამ პალატას და მოსთხოვოს მას ირლანდიაში შეიარაღებულ ძალების გადიდება".

# თეატრი და ხელოვნება

## ფსიქოლოგია ქართულ სცენაზედ.

„სიზმრები". ა. ყანჩელისა. სამშაბათს, დეკემბრის 13, რუსთაველის თეატრში დასდგეს ა. ყანჩელის 3 მოქმედებიანი პიესა „სიზმრები". პიესამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრეთა შორის, თუმცა სამწუხაროდ, ასეთები ცოტანი იყვნენ თეატრში.

პიესაში ინტერესს იწვევს ის ახალი საშუალებანი, ახალი ხერხი, რომელთაც ავტორი მიმართავს ადამიანის სულიერ მდგომარეობას, მისი შინაგანი ბრძოლის დასახატავად. პირველად ასეთ ხერხს თანამედროვე მწერლებში, თუ არ ვსცდები, მგონი ჰაუპტმანმა მიმართა. მან სცენ ზედ გადაგვიშალა ჰანნელეს სიზმარი სიკვდილის ჟამს,—რითაც უფრო ნათელ ჰყო, რა სტანჯავდა ბავშვს და რაზედ ოცნებობდა ის, ბოროტ მშობლებისაგან გაწამებული.

ასეთსავე საშუალებას მიმართავს ა. ყანჩელიც თავის პიესაში, რომ ნათელჰყოს ადამიანის სულიერი მდგომარეობა მაყურებელთა წინაშე.

პიესის შინაარსი უბრალოა: ვახტანგ კაციაშვილს ეჭვები სტანჯავს თავის ცოლის, ნინოს შესახებ და, როცა დარწმუნდება მის ღალატში, თავს ჩაიქოლ იხრჩობს.

ასეთი მდგომარეობის გამოსახატავად ავტორი არ მიმართავს პათეთიურ სიტყვებს და საზოგადოთ არავითარ ფრაზეოლოგიას არ იშველიებს. პირიქით, ცოლ-ქმარნი სულ ორხელ-სამხელ შეხვდებიან ერთმანეთს და მათი დიალოგიც 4—5 ფრაზით თავდება. სამაგიეროთ, როცა პიესას აზრს გაიგებ, შემდეგ ყოველი მათი მოძრაობა, ყოველი ნაბიჯი ლაპარაკობს მათ მაგიერ, ამჟღავნებს მათ სულიერ მდგომარეობას და ნათელს ჰფენს შინაგან ბრძოლას. ამას კიდევ უფრო ნათელყოფს მათი სიზმრები, რომლის სინამდვილეზედ გადმოტანა, გადმოთარგმნა ადვილია.

პიესას არც დადგმის მხრით უშავდარა, თუმცა სრული კმაყოფილი არა ვართ. საჭირო იყო მეტი გაკვირვება, უფრო დეტალურად შესწავლა პიესისა, ვინაიდან ამ თითქმის უსიტყვო პიესაში, ყოველ მოძრაობას, ყოველ „ჟესტს", არამც თუ წინადადების, მთელი მონოლოგის აზრი და მნიშვნელობა აქვს.

პიესის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ავტორის ცდა მისცეს მას მისტიური ელფერი და ამ მიზნით გამოყვანილი სიკვდილი თუ ბედი, რომელიც ჯერ ფარდის ახდამდის ორკესტრის—დოლბაზარის კითელრიდან საზოგადოებას მოუწოდებს დადუმდეს და მოისმინოს პიესა, რომელიც გვიჩვენებს ერთი კაცის ცხოვრებას სინამდვილეში და სიზმარში; შემდეგ პიესაში გამოდის ხან მეკუზოვეთ და ხან ლაქიად. ამ ელემენტების გამოტოვებით ვფიქრობთ, პიესა ბევრად მოიგებს.

დილეტანტი.

# შენთვის

შენ თოვლი ხარ, მთის გვირგვინად რო ბრწყინავს და მარგალიტობს,
გარიჟრაჟის ნიავი ხარ, ფოთლებზე რომ დათალლითობს.
შენ მზის ქორწილს მომაგონებ, სიფრიფანა სხივთა კრებულს
გაზაფხულის მხიბლავ ღიმილს და მორცხვ კოცნას გახარებულს.
და როდესაც ღამის ქსელში დღის სიცხადე მუშაითობს,
როცა მთვარე ინაზება და არც შუქი მუყაითობს,
როცა სიო ფრთხილად დამღერს საარს ტკბილს და საუცხოვოს
და მზად არის აღმოსავლეთს სიქალწულე გაუთხოვოს
შენ ბრძანებლობ ამ დროს მიწას, შენ მისი ხარ დამფარავი,
ჩემს ლექსებსაც შენ მოსწონხარ, და შენს გარდა სხვა არავინ.
ახალგაზდა ცისფერ ცრემლით დამეწინწკლა სასთუმალი,
შუაღამის სამოთხე ხარ საჩუმარი, იდუმალი.
ნუ დაჰფანტავ ჩემს მფრთხალ ფიქრებს, სიყმაწვილის ნიამორებს,
შენი ტრფობა ჩემს ტუჩებზე მუდამ ხსოვნად იამბორებს.
ჩემს ალბომში გავაღმერთებ შავ-ხალიან ცისფერ თვალებს
თუ კი ერთხელ სიყვარულით გულ-წრფელ ალერსს დამავალებს.
და ოდესმე თუ ეს გრძნობა შენშიც რასმეს დაიგულებს,
მე შეგიკრავ ზეცის თაღად ოქროს-თვალა თაიგულებს.

ნინო თარიშვილი.

# დაგვიანებული წერილი.

## სახ. უნივ. აგრონომ სტუდენტთა წრის მუზეუმის გახსნის გამო.

იმ დროს, როდესაც ჩვენში აღმშენებლობითი მუშაობის მაჯისცემა შეჩერებულია და მისი პულსი ოდნავ და სცემს, როდესაც ფართე საზოგადოება მხოლოდ პოლიტიკურ ცხოვრებაშია ჩაბმული და სხვა დარგნი ჩვენი ცხოვრებისა თითქმის სრულიად უყურადღებოთ არის მიტოვებული, სწორედ ამ დროს უნივერსიტეტის შენობაში თურმე სწარმოებს შემოქმედებით სავსე მუშაობა, მუშაობა დადებითი და ხალხისათვის სარგებლიანი.

ამა წლის დეკემბრის 4-ს სტუდ. აგრონომიულმ წრემ გახსნა თავისი მუზეუმი და იმ აუარებელ სტუმართა, რომელნიც ამ საზეიმო დღეს დაესწრენ, თვალწინ გადაიშალათ თითქმის ყველა დარგი ჩვენი მეურნეობისა თავის დადებით და უარყოფითი მხარეებით.

უნივერსიტეტის [illegible] მორთულია ცოცხალ ყვავილების გვირგვინებით, სადაც მოსჩანს წარწერა: „გაუმარჯოს სამშობლოს კულტურულ აღორძინებას". და იქვე კიბის აქეთ-იქით გუთნები პურის ხელეურებით დამშვენებული.

დერეფანში შესასვლელს კი ამშვენებს ქართველ უხუცეს მეცნიერის პ. მელიქიშვილის ეპიგრაფი: „პატივისცემას, სიყვარულს, ერთგულებას,—აი რას მოითხოვს მეცნიერება"!

და მუზეუმის აყვავილებულ კარებს კი „სამშობლოს ხსნა—მეურნეობის აყვავებაშია".

ყველა წარწერა აზრიანი და ძვირფასია. საქართველო მეურნეობის ქვეყანაა, აქ კი მეურნეობა დაქვეითებულია.

ხსნა მისი კი მეურნეობის აყვავებაშია.

საზეიმო სხდომა გაიხსნა თერთმეტ საათზე სტუდენტთა ძვირფას საგალობელ „გაუდეამუსით", რის შემდეგაც წრის თავმჯდომარემ სტ. ანდრო ხუბუტიამ თავის სხარტულ სიტყვაში მოკლეთ დაუხასიათა დამსწრეთ წრის დაარსების ისტორია და ის პირობანი, რა პირობებშიაც უხდებოდათ სტუდენტობას მუშაობა. თითქმის 100 პროცენტი წევრებისა თავის საუკეთესო დროს ანდომებდნენ ლუკმა პურის ძიებას, მაგრამ მიუხედავათ ამისა წრეში სწარმოებდა მედგარი და დაუღალავი მუშაობა, იკითხებოდა მოხსენებანი ჩვენი მეურნეობის სხვა და სხვა დარგიდან და სტუდენტთა დაკვირვებანი. მიზანი ასეთ მოხსენებებისა იყო, რათა სტუდენტობა უფრო მეტად დაინტერესებინა ჩვენის მეურნეობით და ამ გზით შეექმნათ ნამდვილი აგრონომები და საზოგადო მოღვაწეები.

ასეთი იყო მუშაობა აკადემიურ წლის განმავლობაში, მაგრამ წრემ თავისი მოქმედება გააძლიერა სწორეთ ზაფხულის თვეებში, როდესაც უნივერსიტეტში მეცადინეობა შეწყვეტილ იქმნა.

სოფლად წრის წევრები გაიჭრნენ ხალხში და კითხულობდნენ მოხსენებათ, საქმით უჩვენებდნენ სხვა და სხვა სამეურნეო სცდათ და სხვა ამისთანებს. იმ 5 მილიონმა, რომელიც ამ წრისათვის მთავრობამ გაიღო შეძლება მისცა წრეს, რათა სპეციალურათ გაეგზავნა ამხანაგები სხვა და სხვა ადგილას დაკვირვებათა საწარმოებლათ და კოლექციების შესაკრეფათ, რის შედეგიც არის ის მუზეუმი, რომელიც იხსნება ამ დღეს".

ჩაეყ რა საფუძველი ფრიად დიდ საქმეს სამეურნეო მუზეუმს და ბიბლიოთეკას და ბოლოს თავმჯდომარემ გამოსთქვა იმედი, რომ ამ დიდ მუშაობაში ფართე საზოგადოებაც მიიღებს მონაწილეობას და მატერიალურათ დაეხმარება წრეს, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც დაარსდა და რომელმაც ცოტაოდენის გაკეთება მაინც მოასწრო.

თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ წრეს ულოცავს ფაკულტეტის დეკანი, ჩვენი დიდი მეცნიერი, პ ლარით დამშვენებული მელიქიშვილი, რომელმაც დაბოლოებით შემდეგი უთხრა: „ამ ათი წლის წინად საფრანგეთ-გერმანეთ შორის მაროკოს გამო კინაღამ ომი ატყდა. გერმანეთის პოლიტიკური წრეები და პრესა ამტკიცებდა, რომ გერმანეთისათვის აუცილებელია მაროკო არა როგორც მინერალური სიმდიდრეთა სალარო, არამედ როგორც ქვეყანა საუკეთესო ნიადაგით და ჰავით, სადაც შესაძლებელი იქმნება ტროპიკულ მცენარეთა დახარება, რომელნიც გერმანეთისთვის აუცილებელია. ამასთანავე გერმანეთის პრესა ამბობდა, რომ მინერალური სიმდიდრე ეს დროებითი და წარმავალია, ნიადაგი და ჰავა კი სამუდამოა.

30—35 წლის წინათ, როდესაც გერმანეთ-რუსეთ შორის ეკონომიური ომს სწარმოებდა იულიუს კუნმა ჩემთან საუბრის დროს გამოსთქვა ის აზრი, რომ გერმანეთი რუსეთისაგან, რომელიც ხორბალს აწვდიდა, თითქმის ნაწილობრივ განთავისუფლდა, რადგან გერმანეთში დიდი შრომის და ნიადაგის განაყოფიერების შემდეგ მოსავალი გაათორკეცა. მხოლოდ ერთის მხრივ ვერ განთავისუფლდა, რადგან გერმანეთში ჯერ ვერ გამოიმუშავეს ისეთი ხორბლის ჯიში, რომელიც სამხრეთ რუსეთის პურის ჯიშებს ამჯობინებდნენ, მაგრამ იქ ხორბალი მაინც შესამჩნევათ გაუმჯობესებულია. მეურნეობის ასეთი აყვავება შედეგია გერმანელის შრომის მოყვარეობისა, მეცნიერულ მომზადებისა და სამშობლოს სიყვარულისა, რომელიც გერმანელს თავის დღეში თავს არ ანებებს.

აი ესენი არიან უმთავრესი მიზეზნი იმ კულტურისა, რომელიც დღეს გერმანიაშია.

---

ხელებს და მსოფლიო კვლავ გაიგონებს; „გაუმარჯოს კომუნასო" და მოგვიგონებს ჩვენს.

გუშაგი. ვინ მოდის... შერდი... (სანიშნებელ ბუკის ხმა ისმის. ფედერალისტები გაიშლებიან. სარდოკი სანგრების შესავალთან შეეჯახება ქალს, რომელიც ორ გუშაგს მიჰყავთ).

სარდოკი. შენ (გაიწევს ქალისკენ). შენ...

ლეონა. მე ვარ, მე. მოვედი სარდოკ, რომ შენთან ერთად მოვკვდე.

სარდოკი (გადაეხვევა მას).

ლეონა. დიახ. მე პასუხს გაძლევ იმაზე, რასაც შენი თვალები მეკითხება ითხარმა, დიუმემ, კსანიემ, სარიოზარმა და ყველა სხვა მეგობრებმა თავიანთი მოვალეობა შეასრულეს და დაიღუპნენ... (ფედერალისტების პატარა ჯგუფი ქუდებს (კეპი) იხდის და თავს დაჰხრიან).

ლეონა (განაგრძობს). ალბენ, შენი ძმა, ვიქტორ უშიშრად და ილუპა მათთან. რამდენიმე საათის წინ ვნახე ის ივლისის სვეტის ძირში მდებარე. დიახ, მე ვნახე, როგორ შედება მისმა სისხლმა ბრინჯაო, რომელზედაც ოქროს ასოებით ამოჭრილი იყო სახელი შენი მამისა, 1830 წელს რომ დაიღუპა. ბასტილიის მოედანზე მრავალი დახოცილები ჰყრია. კაცები, ქალები, ბავშვები, რომელიც იბრძოდნენ და გარეშეებიც, ყველანი დახვრიტეს. ვერსალელებმა არავინ დაინდეს.

მოხუცი ფედერალისტი. არამზადებ! (ფედერალისტებს შორის აღელვებული, ზიზღით სავსე, ხმები მოისმის.

ლეონა. მათ უთხრეს: დახოცეთო... და ისინიც ხოცდენ. შენი და, და მისი ქმარი ტყვეთ ჩავარდნენ და დახვრიტეს. ერთი საათის შემდეგ შესაძლებელია ჩვენც ისეთივე დღე მოგველის. წუხელ შუაღამისას სახლიდან გამოვედი და რვა საათი ქალაქის გამოვლას მოუნდი ყუმბარებსა და ტყვიის ქვეშ, სისხლისა და ცეცხლ შუა. პარიზი იწვის, ის რევოლიუციასთან ერთად იღუპება. ჩვენებმა თავისი სიტყვა ასრულეს: თუ ვერსალელებს მეფე სურთ, დეე, ახალი საცხოვრებელი გაუშენონ. პოლიტიკური ცდომა, არ არის არც ფილური.

ფედერალისტების ხმები: ვაშა.. ვაშა..

ლეონა. ეხლა, უეჭველია, დაეჯერებენ პარიზის დატაკთა ფიცს: ან გამარჯვება, ან სიკვდილი.. ის თავის ნათქვამ ასრულებს და თავის ოცნებასთან ერთად თავისავე ძველ ქალაქის ნანგრევებში დაიღუპება. ზამთარში ჩვენ გვარწმუნებდენ, რომ ჩვენები მტერს ერთ საათსაც ვერ გაუმაგრდებიან. მათ დაამტკიცეს, თუ რას შესძლებდენ ისინი, პრუსიელების წინაამდეგ რომ გაეგზავნათ. ახლა ისინი დამარცხებულნი არიან. სენა სისხლიდან გაწითლდა ყველა ქუჩის ქვაფენილი მითია მორწყული. პარიზში მშვენიერი ქალებია გამართული. ქალაქს წითელ დროშაზე სძინავს (ადგილებით). მაგრამ ეს მიცვალებული ოდესმე ისევ აღსდგება და შე ინძრევა. ის კვლავ ადგება. მაშინ თვით ქვები ადგებიან და დაილაპარაკებენ.

ფედერალისტებს შორის დამ დასტურებელი ხმები. ისინი ლეონას ხარბად უსმენენ.

ლეონა. ღმერთო, რა არ ვნახე მაშინ. ესპანელები, ჯარისკაცებად გადაქცეულნი, დამონებულნი ბურჟუაზიის მიერ. ამ ველურმა მონებმა დახოცეს ჩვენი თავისუფალი ქალაქი და კლავდენ ყველას, ვისაც ოდესმე უფიქრია, უსწავლია და თავის თავს კაცად სთვლიდა. ნუ მკითხავთ, როგორ მოვაღწიე აქამდის, ნუ მკითხავთ! მე ცოცხალი ვეძებდი, თითქმის და ხვრეტაც გადავიწყვიტე, მაგრამ ცოცხალი დავრჩი და კვლავ წამოვედი. მე სიკვდილი არ მაშინებდა, მე შენი ნახვა მინდოდა, ახლა კი მზად ვარ შევხვდე მას.. (სარდოკის მხრებზე დააწყობს ხელებს) მაგრამ, ჩემო ძვირფასო, აქ მარტო არ მოვსულვარ...

სარდოკი. რა? ნუ თუ შესაძლებელია შენ ხუმრობ. (ძლიერ აღელვებულია.

ფედერალისტები მას გაკვირვებით შესცქერიან).

ლეონა. შეხედე (ქამლის ჩერებს, შეახედებს ბავშს ხელში აწევით), ეს ჩვენი შვილია (ფედერალისტებს შორის ტაშის ცემა და სალმობის ხმები ბავშის მიმართ).

სარდოკი (ხელში აიყვანს ბავშს) მგონი მე უკვე ვნახე ის. მე მას ვცნობილობ.

მოხუცი ფედერალისტი. შენი შვილი შენა გგავს.

სარდოკი. არა, მე მგონია ის ჩემ ბაბუასა ჰგავს!

ლეონა. (აღფრთოვანებით ოჰ, ნუ თუ?

სარდოკი. დიახ, ბაბუა ჩემს, რომელიც გრევის მოედანზე სიკვდილით დასაჯეს. ის პურიტანი იყო. მას არ უნდოდა მტრებისაგან მოწყალების თხოვნა და მათაც ის მოჰკლეს. მაგარი კაცი იყო. ჩემი შვილი, მას გავს. მას დაე მგავანება.

მოხუცი ფედერალისტი. მოქალაქევ, შენს ვაჟს რა ჰქვია?

ლეონა (ჩაფიქრებული). ჯერ უსახელოა. არცა მონათლული მე მისი სახელი არ ვიცი.

ბავშს დასვამენ ფედერალისტების მიერ.

გატეხილ მაზარაზე.

მოხუცი ფედერალისტი (ზეიმით). მეგობრებო, თქვენ გახსოვთ „საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ჩვენი ძვირფასი წინაპრები, გახსოვთ მათი დიადი ანდერძი: „როდესაც მეფის მთავრობა ხალხის უფლებებს არღვევს, უკანასკნელის წმინდა და პირდაპირი მოვალეობაა მის წინაშე ამხედრდეს". მათი ანდერძს ჩვენ გავამართლეთ. ჩვენ ავმხედრდით. მაგრამ შეიძლება დღეს ჩვენ დაგვამარცხეს, უკანასკნელ დღეს, როდესაც მზე გვინათებს, მე ვფიცავ ჩემს ძველ წყლულებს, ჩვენში სასოწარკვეთილება არ არის. ჩვენ დარწმუნებული ვართ. მაგრამ ჩვენ გავიმარჯვეთ, ჩვენ ვკვდებით იმისათვის, რომ ვიცოცხლოთ.

ჩვენ ვერსალელების ტყვიის ქვეშ დავეცემით, მაგრამ ჩვენ უკვალოდ არ დავიღუპებით. ეს ბავშვი ჩვენც გადაგვიტანს და ეს ბიჭი, ჩვენი წინამძღოლის შვილი, იქნება ჩვენი შვილი, ის იქნება ჩვენი იმედი, ჩვენი გამარჯვება, ის დარჩება ჩვენი უკვდავი ბოლოს მემკვიდრეთ. ცოცხალ განსახიერებათ ჩვენი დიდი ადამიანების მომავალ დიდებისა.

ყველანი. გაუმარჯოს ბრძოლას, გაუმარჯოს კომუნას!

სარდოკი. იჩქარეთ, მეგობრებო, ჩემო ვაჟკაცებო, უკვე დროა.

მოხუცი ფედერალისტი. ჩვენ ის ჩვენივე სისხლით მოვნათლოთ და მივცეთ მას სახელი, რომელიც მუდამ მოაგონებს ხოლმე სიძულვილს ტირანებისადმი, სიყვარულს თავისუფლებისადმი ზიზღით სიკვდილისადმი, ჩვენ დაუღალავ მისწრაფებას ბრძოლისადმი. დავარქვათ ..

ყველანი (ხვდებიან აზრს) შურის მაძიებელი.

მოხუცი ფედერალისტი. შურის მაძიებელი, დეე ალიზარდოს ის ამ სახელით და გახდეს ღირსეული შვილი სამასისა, კომუნის სახელისათვის რომ დაიღუპენ.

ლეონა. დე აღიზარდოს როგორც თქვენი შვილი, მე კი მოუთსრობ მას როგორ დაიღუპა მისი ბაბუა, მამა, და თქვენ მისი ნათლიები.. თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ სასიკვდილოთ გულდამშვიდებით, ამაყათ.. ის იცოცხლებს, რათა თქვენთვის შური იძიოს. მე ლეონა, ფიცს ვსდებთ რომ ის ღირსი იქნება იმ სახელის, რომელიც დღეს მიიღო.

გავარდება თოფი, მეორე, მესამე, შემდეგ მოჰყვება ზარბაზნის გუგუნი ზარბაზნის ხმა.

მოხუცი ფედერალისტი. იარაღისთან,—ვერსალელებია.

სარდოკი (მშვიდად) მათ დაივიანეს ათი წამით მაინც შვილობით ლეონა! (გადაეხვევა). შვილობით შვილიკო (კოცნის ბავშს). წინ მეგობრებო! ჩვენი საქმე არ დაიღუპება! ჩვენი შვილები შურს იძიებენ.

გაუმარჯოს რესპუბლიკას!

ყველანი. გაუმარჯოს კომუნას!

(სროლა ფედერალისტების მხრივ. დანგრეულ კედელში გამოჩნდებიან ვერსალელებიც.)

(ფარდა.)

ჰავა და ნიადაგი ჩვენი სამშობლოსი გვაძლევენ შესაძლებლობას შემოვიტანოთ და მოვაშენოთ, როგორც სუბტროპიკული მცენარენი, აგრეთვე შემოვლოთ ალპიური მცენარენი. თუ თქვენც გერმანელივით ზეიძენთ სწავლას, ალერსიანით სამშობლოს სიყვარულით, მაშინ ჩვენი ძვირფასი სამშობლო ეკონომიურად დამოუკიდებელი იქნება და გადიდურჩქნება ჩვენს მომავალ თაობათა გასახარებლათ.

გაუმარჯოს საქართველოს!

დაამთავრა თავისი მგრძნობიარე სიტყვა, რომელსაც ხალხი ტაშის ქუხილით შეხვდა.

შემდეგ ეკონომიურ მეცნიერების პროფესორი გ. გეხტმანი ესალმება წრეს და აღნიშნავს იმ აუტანელ პირობებს, რაშიაც უხდებოდათ მუშაობა და მიუთითებს ვისაც ჯერ არის, რომ, თუ არ გინდათ ეს დიდებული განწყობილება ჩაკვდეს და, თუ გინდათ გაფურჩქნოს, მაშინ დაეხმარეთ მორალურათ და უმთავრესათ ფულითაო.

წრეს ესალმებიან „მეტყევობის დარგის პროფ. კოლეგიის სახელით პ. ზახტლებერი, მიწ. მოქ. კ. სამეურნ. კურ. სტუდენტთა სახელით მაჩაბელი. აგრ. სტ. ნ. კეცხოველი, მიწად მოქმედების კომისარიატიდან კოლეგიის წევრი კანდელაკი. მიწ. ტყის პროფ. კავშ. სახელით ვ. რეხვიაშვილი და სხვანი, რის შემდეგაც ხდება მუზეუმის დათვალიერება. სტუმართ თვალ წინ ეშლებათ მთელი ჩვენი მეურნეობა თავის დადებითი და უარყოფითი მხარეებით.

მართლა დიდი ენერგია და საქმის სიყვარული იყო საჭირო, რომ ამ მოკლე ხნის განმავლობაში შეექმნათ ეს დიადი საქმე.

აი ქართლის მეხილეობა. რა მრავალფეროვნობაა ჯიშების, რა სილამაზე და რა სიმდიდრე, დაუშრეტელი და მეორეს მხრივ რა უყურადღებოთ მიტოვებული, რომლისაც ამ სიმდიდრის გვერდით მიუთითებენ მოუვლელობის შედეგების კოლექციაზე. რა სიმდიდრე გვქონია და როგორ ჩადგურდება თურმე უყურადღებოთ.

აი ჩვენი ვაზი. მარტო რაჭიდან 40 სხვა და სხვა ჯიშამდე ჩამოტანილი, ქართლიდან, იმერეთიდან, კახეთიდან. რა სიმრავლე ჯიშებისა, ნაყოფიერება დიდი და ჩვენ კი სხვაგან გვგონია [illegible] ყურძნის ჯიშის შესახებ.

შემდეგ ქართლის ნათესების საერთო (მავნე) მცენარეთა მდიდარი კოლექცია ეს პურის ბუდეში ქართლი და ასე დაქვეითებული პურის კულტურა ნათელია ამ კოლექციიდან.

აი ასეთივე კახეთი, ქიზიყი, სადაც იქაური მეურნე მხოლოდ 40 პროც. სუფთა პურს იღებს და დანარჩენი მავნე მცენარეთა თესლებს.

აი მეაბრეშუმეობა. ჩვენი ხორბლეული რა სიმრავლე, რამდენი სხვა და სხვაობა.

საკვები ბალახები. ძვირფას მცენარეთა კოლექცია. სატყეო და სხვა მრავალი.

მდიდარი მოდელები იარაღებისა, [illegible], საწნახლები, საქაჩავები და სხვა.

ყველას ეტყობა სიყვარული, სიფაქიზე და საქმისადმი თავ-დადება.

თითქმის ყველა დარგი ახალია, საიდაც მეცნიერული მხარის შესწავლა პირველად უხდებათ ამ დარგში მომუშავეთ.

სტუმართა აღტაცებას არ აქვს საზღვარი.

აი უკვე მდიდარი ბიბლიოთეკა.

რომელ მხარეზე იქნეს მიქცეული ყურადღება ძნელია; ყველგან სიყვარული და თავის დადება, გამორკვეული [illegible], ერთგულება, სიყვარული—აი რას მოითხოვს მეცნიერება".

მუზეუმის დათვალიერების შემდეგ: წრის წევრი სტ. აბესაძე კითხულობს მოხსენებას: მასალები მეხრანის რიონის საროველ მცენარეთა შესასწავლათ".

აშკარათ გახდა, რომ ის პატარა, მაგრამ სულით და გულით ძლიერი წრე ყოველ დარგში აწარმოებს მუშაობას.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია და კამათში ჩაება როგორც სტუდენტობა, ისე ჩვენი მეცნიერები.

საღამოს ორ საათზე დამთავრდა სხდომა და ხალხი დიდი ნასიამოვნები დაიშალა.

ვუსურვებთ ამ წრეს რომ თავის მუშაობა კვლავაც ასე ენერგიულათ და მუზეუმი ქცეულიყოს დიდ სერიოზულ სამეცნიერო დაწესებულებად.

ახალი მეურნე.

## გიორგი ნიკოლოზისძე ყაზბეგის მოგზაურობა აჭარაში

I

1783 წ. მეფე ერეკლემ, რუსეთის იმპერიასთან ტრაქტატის დადების და ხელშეკრულობის დროს აღიარა იმის ნატვრაც, რომ სანატრელი არის, რომ რუსეთის დახმარებით შემოერთებულ იქმნეს საქრისტიანო საქართველოსთან, ოსმალთაგან მოტაცებული საქართველოს ის ადგილები, რომელიც ოსმალეთს უკავია დღემდეო.

ამიტომაც იყო, რომ რუსეთის მთავრობა ასე თუ ისე ეტრფოდა ოსმალეთის საქართველოს შემოერთებას საქრისტიანო საქართველოსთან. სწორედ ეს გარემოება იყო იმის მიზეზად, რომ 1870 წლებში, რუსეთის მთავრობამ, აჭარაში სამგზავროდ დანიშნა გენერალური შტაბის წევრი სამხედრო ინჟენერი, გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი.

ეს დანიშვნა მაშინ მთავრობისაგან ადვილი საქმე იყო და მისი შესრულება და მოგზაურობა კი ერთობ ძნელი და მოუხერხებელი, ვინაიდგან ოსმალეთის მთავრობა ამ გვარ საქმეებს ძრიელ გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს და რუსთაგან იქით არავის აწაწნებდა სამგზავროდ.

მთელს მეცხრამეტე საუკუნეში, გიორგი ყაზბეგის მოგზაურობა იყო პირველი მაგალითი, მთელს საუკუნეში, ოსმალეთის საქართველოში ქართველთაგან არავის ემგზავრა, ერთი მაგალითი იყო, რომ 1865 წ. იმოგზაურა იმ დროის „ცისკრის" რედაქტორმა ივანე კერესელიძემ, ამანაც იმგზავრა მხოლოდ სხალტის ხეობამდის და მის მერე ისევ უკან დაბრუნდა, ამან ვერასფერი ანუსხა ოსმალთა შიშით.

ასეთი ძნელი საქმე იყო ოსმალეთის საქართველოში მოგზაურობა და ეს სიძნელე ოსმალეთის მთავრობას შერჩა კარვა ხანს, თვით იმ დროსაც კი, როცა ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძემ განიძრახა მგზავრობა და რომელსაც რუსეთის მთავრობისაგან ამის დიდი ნებართვაც კი ჰქონდა მიცემული, თვით ესეც კი დაპატიმრა 12 დღით ბათუმის ფაშამ და არ გაუშვა სამგზავროდ აჭარაში.

ამიტომაც იყო, რომ გიორგი ნიკოლოზის ძეს მოგზაურობის ერთობ დიდი შიში ჰქონდა, მაგრამ ამ შიშს საქართველოს ერის სიყვარულმა დასძლია, მან გადასწყვიტა უსათუოთ მთავრობის დავალების შესრულება და ოსმალეთის საქართველოში მგზავრობა. ამისთვის იმეცადინა მან და აი რა ოსტატობა მოახერხა, რომ მით თავის წადილი შეესრულებინა და ვნებით კი არაფერი მომხდარიყოსრა.

მთელს სამუსულმანო საქართველოში კარგათ ცნობილი გახლდათ ყოვლად პატივცემული და უპატიოსნესი გრიგოლ დავითის ძე გურიელი. ამ პირს ქობულეთის და აჭარის ბეგებთან ნათესავობაც ჰქონდა, თვით იგიც ქობულეთის ქართველ მაჰმადიანებში იყო გაზრდილი.

ქართველ მაჰმადიანებს გრიგოლ გურიელი ისე უყვარდათ, რომ ყველანი ძათში ამ პირს ბატონიშვილს უწოდებდნენ და არა გრიგოლ გურიელს. ამ პატივისცემას მათში იწვევდა ის გარემოება, რომ გრიგოლ გურიელი იყო რუსის გენერალი, მასთან იგი იყო დიდი ხმა და გავლენის მქონი და ყოველივე ამაებთან, იგი იყო დიდი დამხმარე და ქომაგი ქართველ მაჰმადიანებისა; ეს პატიოსანი პირი ეხმარებოდა მათ ყოველ ნაირის მხრით; ამიტომაც, როცა კი ეს კაცი ჩავიდოდა მათში, მას დიდის პატივისცემით ეგებებოდნენ ქართველი მაჰმადიანები.

ამ გარემოებით ისარგებლა გიორგი ყაზბეგმა. მთავრობასთან საქმე მოაწყო ასე, რომ გრიგოლ გურიელმა იმგზავრა მთელს სამუსულმანო საქართველოში, ამას თან გაჰყვა მთელი გუნდი მოსამსახურე კაცების, რომელთაც ყველას ჩაქურათ ეცვათ ტანთსაცმელი და იგინივე იყვნენ მაჭახლურის იარაღით შემოსილები. აი ამ პირებში ერია გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგიც.

გიორგი ყაზბეგიც იყო ჩაქურათ გამოწყობილი და მაჭახლურს იარაღში ჩასმული. ერთი სიტყვით, ეს იყო ისე მოწყობილი და მოწესრიგებული, რომ ვითომც ესეც მოსამსახურე გახლდათ გრიგოლ გურულისა. ასე, რომ ეს პირი ოსმალოს უნდა ეცნა როგორც გრიგოლ გურიელის მოსამსახურე და არა გენერალური შტაბის ინჟენერი გენერალი.

ეს მოხერხება მართლაც ჰკვიანური გამოდგა და გრიგოლ გურიელის მოგზაურობაში გიორგი ყაზბეგიც თავისუფლად მოგზაურობდა. მასზედ ეჭვს ვერავინ იღებდა, თუ იგი იყო გენერალი და არა გრ. გურიელის მსახური. გ. ყაზბეგი ასე იყო გამოწყობილი, იგი გრ. გურიელს კი არ ემსახურებოდა, არამედ თავის საქმეს აკეთებდა და ცნობებს ჰკრეფდა სამუსულმანო საქართველოს შესახებ.

ამ გვარად, გენერალ გურიელმა გაიარა თავისუფლად მთელი ქობულეთი, აქ მათ დიდს პატივს აძლევდნენ ქობულეთის ბეგები და ხალხი. აქედან ესენი გადავიდნენ ბათუმში, აქაც მათ ბათუმის ოსმალთა მთავრობამ დიდი პატივისცემა მისცა, აქ ესენი დარჩნენ რამდენსამე დღეს და აქ არავის შეუტყვია და არც შეუმჩნევია ის გარემოება, თუ გრიგოლ გურიელის მსახურთ შორის. ერია ერთი რუსის გენერალი ინჟენერი გიორგი ყაზბეგი,

საქმე ისე იყო მოწყობილი, რომ ეს გარემოება არც თვით გრიგოლ გურიელის მსახურებმა იცოდნენ, თუ მათში ერთი ისეთი ახალი მოსამსახურეც ერია, რომელიც იყო გენერალი ინჟენერი და არა უბრალო მსახური. მაინც გიორგი ყაზბეგსაც ძრიელ ოსტატურად ეჭირა თურმე თავი; ისე, რომ მას ვერავინ რას შეუტყობდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ესენი ბათუმიდან გაემგზავრნენ აჭარას, ამ მგზავრობას გიორგი ყაზბეგი თურმე გულის ფანცქალით ელოდა. ეხლა მოვიყვანთ აქ ცნობებს თვით გიორგი ყაზბეგის ნაწერებიდან, რომლითაც მაშინ იგი თურმე აღებული ყოფილა. იგი აღვსილი იყო დიდის დარდით. თუმცა იგი რუსის გენერალი გახლდათ, მაინც ვითარცა კარგი ქართველი მას აშინებდა შემდეგი გარემოებაც.

იგი ნაღვლით იყო სავსე სამუსულმანო საქართველოს უმწეო მდგომარეობაზედ და ნამეტურ იმაზედაც კი უფრო, რომ ისეთი კუთხე, როგორიც იყო მთელი სამუსულმანო საქართველო, რომ იქ ქართული ენა ქართველ მაჰმადიანებში დიდათ იგმობოდა, ამ გმობას ოსმალოს მთავრობაც რასაკვირველია ხელს დიდათ უწყობდა და ამით საქმემ იქამდის მიაღწია, რომ ქართული ენა ამოვარდა და დაავიწყდათ ქართველ მაჰმადიანებს ყარსის თემში, არტაანის, ოლთის და სხვაც ბევრს ასეთ ადგილთა თემებში.

დაღონებული იყო მით უფრო, რომ თუ სამუსულმანო საქართველო ოსმალოს ხელში ისე დაშთებოდა, მაშინ ქართული ენა იმ კუთხის ქართველ მაჰმადიანებშიაც ამოვარდებოდა, სადაც იგი იმ დღემდის კიდევ მკვიდრად იყო დაცული, ესეთი კუთხეები გახლდათ აჭარა, ზეგანი, მაჭახელი, ლიგანის ხევი, მურღულის ხევი, ნახევარი შავშეთი და ქობულეთი და ზოგიც სხვა ჩვენთვის უცნობ ადგილებში, სადაც ქართული ენა კიდევ არ იყო ქართველ მაჰმადიანთაგან დავიწყებული.

ამ გვარათ, ამ ოქროს კუთხეში, შესაძლებელი გახდებოდა, რომ ქართული ენა მოსპობილიყოს და მით გათავდებოდა იქ ქართული ენის ხსენება. მაინც ისიც ითქმის, რომ ესეთი დარდი მარტოთ გიორგი ყაზბეგის საკუთრება არ გახლდათ, ესევე გარემოება დიდათ აღონებდა ყველა ქართველის გულს და ამ უბედურების ნაღველა ყველა ქართველს აწვა გულზედ ვაებათ. ყველა ქართველს ეს გარემოება აწუხებდა და ადარდებდა, ვინაიდგან საქმე ისე იყო ოსმალთაგან დაყენებული, რომ თვით ქართველ მაჰმადიანებს კი ამის შეგნება და გაგება სულ არ ჰქონდათ.

ყველა ქართველი ოხვრით იტყოდა ხოლმე და ჰგოდებდა მასზედ მწარედ, რომ სამცხე-საათაბაგოში, ოსმალთა დესპოტიზმით დაემხო ქართველი ტომი, დაემხო ქართული ენა, ამის ხსოვნა მოისპო ქართველთ შორის და ასე და ამგვარად მოისპო და გაჰქრა ნახევარ საქართველოზედ მეტიო. ეს დარდი იყო ყველა ქართველისა და ამითვე იყო აღვსილი გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგიც. ეხლა აქ მოვიყვანთ ისეთ სიტყვებს ამ ვაების შესახებ, რაც თვით გიორგი ყაზბეგის ბაგესა და კალამს ეკუთვნის.

აჭარაში მიმავალთ გრიგოლ გურიელთან მყოფს გიორგი ყაზბეგს გულში უფეთქავდა თურმე ასეთი ფიქრები:

ახ, ღმერთო, ერთი დროით მივიდეთ აჭარაში და ჩემის თვალით ვნახო, რომ მართლა აჭარაშიაც მოსპობილა ქართული ენა, თუ დღემდე შენახულა იგი მათ შორის. პატივცემული გენერალი ამასაც მალე ძოესწრო და აჭარაშიაც მალე მიაღწიეს, ეხლა აქ ისევ მისავე სიტყვებს მოვიყვანთ, რომ ვინმემ ჩვენს სიძატუნესა და გაზვიადებაში არ ჩამოგვართვან. ამ სტრიქონებს იგი სწერს თავის მოგზაურობაში, სახელდობრ ,,სამი თვე ოსმალეთის საქართველოში'' რუსულს ენაზედ დაბეჭდილი 1873 წ. თფ. ესევე მოგზაურობა პეტრე უმიკაშვილმა მაშინათვე ქართულს ენაზე სთარგმნა და იგი დაბეჭდილ იქმნა 1817 წლის გაზ. ,,ივერიის'' ნომრებში.

სწერს ერთ ალაგას გ. ყაზბეგი.

ჩვენ მივახლოვდით აჭარის საზღვრებს, მე ეს მიახლოვება გულს დარდით მივსებს და მაღონებს, აგერ შევედით აჭარაში, მიუახლოვდით აჭარის საზღვრებს და მალე აჭარის მიწაზედაც გადაველით, შორი-ახლოდამ, ერთს მინდორზე აჭარელი ხალხი გამოსჩნდა, ამით ბევრს გულს ნაღველა უფრო მოემატა, თუ როდის მივახლოვდებით ამ ხალხს და გავიგებ მათგან, ჩემის ყურით ვისმენ, თუ მათში ქართული ენა კიდევ სცოცხლობს თუ არა?

აგერ მალე ამათ ამ აჭარელ ხალხსაც მიაღწიეს, შორიდან შეატყო გ. ყაზბეგმა, რომ ეს ხალხი თურმე აჭარელი მწყემსი ბიჭები იყვნენ, ცოტა ხანს შემდეგ გულის ფანცქალით ამ აჭარელ ბიჭებს [illegible] დენ, მაგრამ [illegible] გ. ყაზბეგს გულის დარდი [illegible] წინ სასიხარულო სურათი გადაეშალა, ვინაიდან შორიდამ მისმა ყურებმა შორიდან მკაფიოთ შეიტყო, რომ აჭარელი მწყემსი ბიჭები ერთმანეთში ქართულის ენით ჩხუბობდენ თურმე.

ეს გარემოება და ქართული ენის სმენა გ. ყაზბეგს მოჩვენება ეგონა, მაგრამ მალე მიუახლოვდნენ იმ მწყემს აჭარლებს და ცხადათ დარწმუნდენ მასზედ, რომ ეს მოჩვენება კი არ იყო, არამედ ნამდვილი ამბავი. ამ ამბავისაგან გარკვეული გ. ყაზბეგი ღმერთს მადლობას სწირავს და სიხარულს ეძლევა, მალე უახლოვდება აჭარელ მწყემსებს და ქართულათ ლაპარაკს უწყებს, აჭარელი მწყემსებიც გ. ყაზბეგს ქართულის ენითვე აძლევენ პასუხს. ამით გ. ყაზბეგი კმაყოფილდება და ახლა კი მას საიმედო ნიშნები ეხატება თვალთ წინ და მცირე ხანს შემდეგ იგი ასეთ ფიქრებს ეძლევა.

არა, არა, აჭარაში ქართული ენა არ მომკვდარა, არ მომკვდარა, მადლობა ღმერთს, რომ ამას არ მოვესწარით, რაკი აჭარაში ქართული ენა სუფევს, მაშ იმედს არ დავკარგავთ, აჭარის მაგალითი დიდებული საქმეა ჩვენთვის. აჭარის მიბაძვით შეიძლება, რომ მთელს სამუსულმანო საქართველოში ქართული ენა აღსდგეს, იგი გავრცელდეს ქართველ მაჰმადიანთ შორის და ბოლოს მათ შეიგნონ ისიც, რომ იგინი შთამომავლობით არიან ქართველების, მათი დედა ენა არის ქართული ენა და მათი სამშობლოც საქართველოა და არა ოსმალეთი, ანუ თურქეთი და იგინიც თურქები არ არიან, არც მათი ენა გახლავთ თურქული.

ასეთ ფიქრებმა გაიტაცეს გ. ყაზბეგი და იმან თავის სასიხარულო შთაბეჭდილება და ფიქრები გენერალ გ. გურიელსაც განუზიარა სიხარულით გ. გურიელიც დაეთანხმა მასზედ, რომ აჭარაში ქართული ენა ისე არის შენახული, რომ მისი მაგალითით ეს ენა გავრცელდება სხვა კუთხის იმ ქართველ მაჰმადიანებშიაც, სადაც კი ეს ენა დღეს უკვე დაკარგული აქვთო, ასეთის საიმედო ფიქრებით ამათ განვლეს ქვედა აჭარის ნახევარი გზა და მივიდნენ დაბა ქედაში.

(დასასრული იქნება).

ზ. ჭ.

## პარტიაში

შაბათს 17 ამ თვეს სღ 7 საათზე მემარცხენე სოც.-ფედ. სარ. პარტიის ცენტრალურ კლუბში (ახალგაზრდათა ოთახი) დანიშნულია ახალგაზრდათა საერთო კრება. მოხსენებას გააკეთებს ამხ. პარმენ ქანიშვილი შემდეგ თემაზე: „ფ დერაციის საკითხი". გასარჩევია ფრიად საჭირო საკითხებიც. ამხანაგებს ვთხოვთ გამოცხადდენ თავის დროზე.

ახალ. დრ. კავშირი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

კბილის ექიმი
**П. Ж. ХАРЕБАВА ბაქრაძე**
იღებს ავადმყოფებს, ყოველ დღე დილის 9—2 და სად. 4—6-დე ექიმობა, პლომბები ხელოვნური კბილები. მუშტაიდის შეს. № 4.
109